კლდე

№ 16

20 აპრილი 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

ცალკე ნომერი 5 კაპ

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-
მიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია ,,კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. როგორ იხარჯება საერობო თანხა.—ა. ყიფშიძისა. 2. სომხური მეცნიერება.—***—სა. 3. მილიონერის მსხალი. (მოთხრობა) თარგმ.—ეკ. გაბაშვილისა. 4. რუხის ომი.—თ. მაგმაძისა. 5. ჭ რ ე ს ა. 6. მოწოდება. 7. უკანასკნელი ამბები. 8. ცირკულიარები.—ნაცარასი. 9. 10. ტერიტორიის საკითხის გარშემო.—ივ. გომართელისა. 11. ნარევი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ
და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე"-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

როგორ იხარჯება საერობო თანხა?

ყველასათვის ცხადია, რომ ვერავითარი სიკეთე ვერ მოიკიდებს ფეხს ჩვენს პროვინციებში თუ იგი დიდ ხანს დარჩა მოუწყობელი, მოუვლელი. პროვინციის ცხოვრების მოწყობა და მოვლა უპირველეს ყოვლისა უნდა დაიწყოს გზებისა და ხიდების გაკეთებით. თუ პროვინციას გზა არა აქვს, თუ ხევ-ხუვებზე არ არის ხიდი და ბოგირი, ტყუილი იქნება მეცადინეობა კულტურის საძირკველის ჩაყრისა ასეთ მივარდნილ კუთხეში.

მოიგონეთ ჩვენი ხევსურეთი, სვანეთი და საერთოდ ჩვენი მთა და მისი ხეობანი. ხევსურეთი და სვანეთი გადაშენების გზაზე დგანან უგზო-უკვლობით; რა უნდა დასთესო ამ ქვეყნებში, როდესაც გარედან კაცი ვერ მისდგომია და შიგნიდან ადამიანს თავი ვერ გამოუყვია. ვინ იცის რაოდენი სიმდიდრეა დამარხული სვანეთისა, ხევსურეთისა და საერთოდ მთის გულ-ღვიძლში და ეს უთვალავი სიმდიდრე უსარგებლოდ ჰგდია, ხოლო მის ბატონ-პატრონი უმწეოდ იღუპება.

აუტანელ მდგომარეობას მალამო უნდა დასდოს საერობო თანხამ. მცირეა იგი, მაგრამ მაინც არის და სწორედ ამ პირდაპირ დანიშნულებას უნდა მოხმარდეს და სხვას არაფერს; ჯერ ეს უპირველესი ვალი უნდა მოიხადოს საერობო თანხამ და შემდეგ, როცა იგი ცოტად თუ ბევრად დაკმაყოფილებული იქნება, სხვა საჭიროებასაც მივხედოთ.

სამწუხაროდ ამ თვალით არ უყურებს საქმეს ადგილობრივი ადმინისტრაცია. თითქოს სცდილობს იგი დააკმაყოფილოს ეს საჭიროება, მაგრამ მისი მეცადინეობა უნაყოფოდ რჩება, რადგან ღონიერს ნაწილს საერობო თანხისას სხვა მეორე და მესამე ხარისხოვან საქმეებს ახმარებს.

ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა მომავალ სამის წლის (1915—1917) საერობო ხარჯთ-აღრიცხვა. ნავარაუდევია ამ ხარჯთ-აღრიცხვაში ისეთი ხარჯები, რომ მარტო გაოცებას და გაკვირვებას იწვევს. შინ როცა ბავშვი სტირის, ტაბლის გარედ გატანას ადგილი არ უნდა ჰქონცეს. ჯერ თავი და თავი და მერმე ცოლ-შვილი. მომავალ ხარჯთ-აღრიცხვაში მოუთავსებიათ ხარჯები პოლიტეხნიკუმისათვის, კავკასიის მუზეუმისათვის და ასე გასინჯეთ ახლად გადმოსახლებულთა სოფლებში სამრევლო სკოლების მოსაწყობადაც-კი. განა შესაწყნარებელია ასეთი სიუხვე, ხელგაშლილობა და დარდიმანდობა? ერი უგზოობით იღრჩობა, წუმპესა და ტალახის მორევში ამოგანგლულა ჩვენი სოფელი, კარ-ჩაკეტილ ქვეყანა ვერ უნახავს, შინაური ნაწარმოები გარედ ვერ გამოუტანია, გარედან შინ ვერაფერი შეუტანია და ასეთს დავრდომილს ადამიანს ეუბნებიან ფული გაიღე ტფილისში პოლიტეხნიკუმის ასაგებად, მუზეუმის ასაშენებლად და სამრევლო სკოლები მოუწყე ახალშენებსო. რასაკვირველია, კარგია პოლიტეხნიკუმი, კარგია მუზეუმიც, ისიც კარგია, რომ გაჭირვებულ მეზობელს შეეშველო, მაგრამ ყველა ეს კარგია მაშინ, როცა ოჯახი სავსეა დოვლათით, როცა არამც თუ უპირველესი საჭიროება აქვს დაკმაყოფილებული პროვინციას, არამედ ყველა საჭიროებისთვის საჭირო თანხა უხვად მოიპოვება. თორემ აბა რასა ჰგავს, ტფილელნი და საზოგადოდ მდიდარნი სტკბებოდნენ მუზეუმით და პოლიტეხნიკუმით და ხევსურს, ან სვანს კი საცალფეხო გზაც არა ჰქონდეს, რომ უხიფათოდ და უვნებლად გამოძვრეს თავის სოროდან, რომ ხილვით მაინც იხილოს პოლიტეხნიკუმის და მუზეუმის მილიონებად ღირებული შენობანი.

ასეთი უყურადღებობა პროვინციისა ალბად იმითი თუ აიხსნება, რომ პროვინციას პატრონი და გულშემატკივარი არა ჰყავს. დიდნი და პატარა ქალაქნი სავსეა ნასწავლი ხალხით, აქვთ აგრეთვე თვითმართველობანი. ქალაქის მოღვაწეთ ადვილად შეუძლიანთ უკარნახონ მთავრობის წარმომადგენელთ, რომ ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება ფრიად საჭიროაო. დღევანდელი ჩვენი პროვინციაკი ყოვლად უმწეოა. ჰყავდა არჩეული მამასახლისი და ესეც ადმინისტრაციამ მოსტაცა და პოლიციის დაბალ აგენტად გადააქცია და თან მისი შესანახი ხარჯიც სოფელს მოახვია კისრად.

ერობას შეეძლო მფარველობა და პატრონობა გაეწია სოფლისათვის გაემთელებინა გატეხილი გულის ფიცარი, მაგრამ საოცნებოდ გახდა ჩვენის პროვინციისთვის ეს უხილავი ხილი. რაც უნდა გლახა, ფრთა-მოტეხილი და ფაფარ-შეკვეცილი ერობა იყვეს, განა წარმოსადგენელია, რომ ეროს ბამ ინებოს და ერისაგან აკრეფილი წვითა და დაგვით გული გაუბოძოს პოლიტეხნიკუმს, მუზეუმ-

და სამრეველო სკოლებს? ეს თითქმის წარმოუდგენელია. ჯერ თავის შინაურ საქმეს მოაწყობს, და შემდეგ, როდესაც საერობო თანხა მოღონიერდება, გაძლიერდება, რატომ, მაშინ ორიოდე გროშს არ დაიშურებს მუზეუმისთვისაც. ჩვენი ერი გულ-კეთილია იცის ხოლმე გლახის გაკითხვა.

ა. ყიფშიძე.

სომსური მეცნიერება *)

როდესაც ბ-მა იშხანიანმა „მეცნიერულად“ დაამტკიცა, რომ ქართველ თავად-აზნაურობის გაქრობა, როგორც რეაქციონურ კლასისა — აუცილებელია თვით ქართველებისათვის, იგი გადადის გლეხობაზედ და ამტკიცებს (?) რომ ქართველ გლეხობას ცოტა მიწები აქვს და ვერ გაჰყიდისო, ამიტომ სულ ტყუილია, როცა ქართველი პრესა სამშობლო მიწის დაკარგვასა ჩივისო — მიწა მხოლოდ თავადაზნაურობისა იკარგება და არა ხალხისაო. მკითხველი შეამჩნევს თუ რა ერთფერობაა ამ დასკვნასა და სოციალ-დემოკრატების ნათქვამს შუა, უკანასკნელნიც ამტკიცებენ, რომ მიწა ხალხს კი არ ეკარგება, არამედ თავად-აზნაურობას და ყვირილი ტერიტორიის დაკარგვაზე - ცარიელი განგაში არისო. როგორც იშხანიანს, ისე ესღეკებს ავიწყდებათ (?) სულ უბრალო საკუთარი მოსაზრებაც, რომ გლეხს ვერც შეუძლიან დაჰკარგოს მიწა, რადგან ან სულ არა აქვს, ან მეტად ცოტა. გასაკვირველია, — ამ მიწის სიცოტავეს **ოვითონვე** აღნიშნავენ და უკვირთ, რომ ჩვენ ვყვირით: არიქა, უშველეთ გლეხებო თავსა და შეიძინეთ ის მიწა, რომელიც გადაგვარებულ თავად-აზნაურობისაგან უცხოთა ხელში გადადის. იშხანიანმა კარგად იცის, რომ ერთი უდიდესი ნაწილი მიწისა ეკუთვნის სწორედ მისგან ათვალისწუნებულ თავად-აზნაურობას და არა გლეხობას და როცა ჩვენ ვითხოვთ ამ მიწადმფლობელობის ლიკვიდაციას იმათ ხელში, ვინც ამუშავებს მიწას — იშხანიანებს უკვირთ (?) რატომ სომხურ ბურჟუაზიის ხელში არ გინდათ გადავიდეს ეს მიწა, როდესაც ბურჟუაზია უფრო პროგრესიული არისო. ძნელია ითქვას, ქართველ ხალხისათვის რომელი უფრო მავნებელია ეკონომიური ექსპლუატაციის მხრით: ეროვნული თავად-აზნაურობა, თუ უცხო ტომის ბურჟუაზია, მაგრამ ერთი კი ცხადია — ეროვნულად ქართველი მუშა უმეტესად იჩაგრება და დაიჩაგრება სომხის მოვახშეთა ხელში. ამას ამტკიცებს არამცთუ ისტორია ბურჟუაზიის განვითარებისა, რომელიც მუდამ ეძებს უფრო იაფ მუშას უცხო ტომებში, არამედ თვალში საჩხერი მაგალითებიც, რომელნიც ჩვენსავე კარმიდამოზე ხდება. ბაქოში მაგ., თითქმის ყველა წარმოებიდან განდევნილია სწორედ ქართველი მუშა, როგორც კულტურულად უფრო მაღლა მდგარი, როგორც მთხოვნელი მეტი საფასურისა და მის ადგილს იჭერს თათარი და სომეხი, განუვითარებელი და ცოტათი კმაყოფილი. იქნება მიგეგქციოთ ყურადღება იმ მოვლენისათვისაც, რომ თბილისში მაგალითად, ძვირად ღა შეხვდებით წინად ისე მრავლად მყოფ რაჭველ მუშებს: ეს მოხდა იმიტომ, რომ მათ ადგილს იჭერს უფრო ღარიბი, უფრო საცოდავი მუშა ქურთისა და სომხისა, რომელიც აბაზად იმდენ ბარგს გაზიდავს, რამდენსაც რაჭველი მანეთად არ წაიღებს - რადგან პირველის მოთხოვნილებანი, როგორც ფსიხიური, ისე ფიზიკური გაცილებით ნაკლებია. ასევეა დვორნიკობაში, მაგ. მთელ თბილისში ვერ იპოვნით ასიოდე დვორნიკსაც ქართველს, რადგან მათთვისაუტანელია ის ძაღლური პირობები, რომელშიაც იგინი იმყოფებიან, და მათი ადგილი დაჭერილია ნახევარზედ ველურ, დაჩაგრულ ქურთებით და ნაწილად სომხებით. ავიღოთ ის ახალი ნიმუშიც „პროგრესიული“ ბურჟუაზიისა, რომელიც შექმნა მანთაშევმა აშურიანში: სულ უბრალო მაგალითი: მიწის გაზიდვა მეტეხელებმა იკისრეს ორ თუმნად, მაგრამ მანთაშევის აგენტებმა ზეაძლიეს 8 მანეთი, როცა მეტეხელები არ დასთანხმდნენ, გადმორეკეს ოსმალელი სომხები და მისცეს 16 მანეთი. ამ პატარა მაგალითიდანა სჩანს მთელი პოლიტიკური და „პროგრესიული“ სულის კვეთება სომხურ ბურჟუაზიისა. ქართველ მუშას არ შეუძლიან იმ აუტანელ პირობებში ყოფნა, როგორშიაც შეუძლიან სომეხს, და ამას თუ ნაციონალური მოსაზრებანიც დაურთეთ, ნათლად წარმოგვიდგება, თუ რაგვარი ორმაგი საფრთხე მოგველის. ჩვენ ვერ დავფარავთ იმას, რომ ქართველი ბურჟუაზიაც შეეცდება უფრო იაფი და შეუგნებელი მუშა იშოვოს საექსპლოტაციოდ, ეცდება მოიყვანოს სომეხი, ქურთი, თათარი და სხვა მუშა, მაგრამ ამასთან სხვა საბრძოლველი იარაღია საჭირო. ჯერ ერთი ქართველი ბურჟუაზია ამას ისე თამამად ვერ გაბედავს და ისეთ სისასტიკით ვერ

*) იხ. „კლდე“ № 14 და 15.

განახორციელებს, როგორც სომხისა და მეორეც, მისგან ამოგებული სიმდიდრე—ისევე ქართველი ერის ხელში დარჩება, შიგვე დატრიალდება და არ გაიზიდება, როგორც უცხო მცარცველებისაგან, სხვა ხალხისათვის. დატრიალებული სიმდიდრე ყოველთვის სასარგებლოა ხალხისათვისაც, ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობისათვისაც და სხ. ბ-ნი იშხანიანი გვარწმუნებს, რომ ბურჟუაზიის პროგრესივობა იმაშია, რომ სკოლებს, ბიბლიოთეკებს, გზებს და სხ. კულტურულ ორგანიზაციებს აწესებსო, მაგრამ გულუბრყვილოდ (?) ხუჭავს თვალებს იმაზედ, რომ **სომხის** ბურჟუაზია არ დააწესებს **ქართულ** ბიბლიოთეკებს, სკოლებს და გზებს, არამედ ქართული მიწიდან ამოწურული სიმდიდრით გახსნის ბიბლიოთეკებს და სკოლებს როგორც სომხებში, ისე თვით საქართველოში და გზებსაც ისე წაიყვანს, რომ სომხურმა ტალღამ უკეთ წალეკოს ქართული მიწა-წყალი. ამ მხრივ, ქართველ პროლეტარიატსაც და მიწის მუშასაც დიდი საფრთხე მოელის, რადგან იმას, როგორც უფრო კულტურულ ელემენტს, საშინელ კონკურენციას გაუწევს ფსიხოლოგიურად და ფიზიოლოგიურად უფრო დაბალ საფეხურზედ მდგარი მუშა სომხისა. და ამის შემდეგ პათეტიური მიმართვა იშხანიანებისა იქითკენ, რომ ისტორიულად ცნობილია ბურჟუაზიისაგან აყვავება პროგრესისა მაღალ წოდების ნანგრევებზედ—ქართულს სინამდვილეში ყალბი გამოდის. (გვ. 51). და ეს სიყალბე ორმოცდამესამე გვერდზე იქამდის აღწევს, რომ იშხანიანი ამბობს:

„Для насъ (?) не имѣетъ никакого значенія столь интересующій грузинъ вопросъ, кто-же является покупателемъ помѣстій въ той или другой грузинской—провинціи: армянинъ ли, русскій, или иностранецъ. Нашей исходной точкой является, повторяемъ, вопросъ развитія **нашей отсталой страны**“ და სხ.

იმის შემდეგ, რაც ჩვენ მოვიყვანეთ იშხანიანის წიგნიდან, ქართველმა მკითხველმა უნდა ირწმუნოს, რომ მათთვის (?) სულ ერთია ვინ დაეპატრონება ქართულ მიწა-წყალს - სომეხი, რუსი თუ უცხოელი. მაგრამ ვსთქვათ, ასეთი ცბიერი დებულებაც ვირწმუნოთ და მივიღოთ, რომ იშხანიანისათვის სულ ერთია ოჰანეზიანცები დაიპყრონ ჩვენს მიწას, ივანოვები თუ ჯინ-პოლ-ჯეკები—ახლა აღარ იკითხავთ, **ჩვენთვისაც** სულ ერთია? თქვენ რა გენაღვლებათ ვინ გასწეწავს ჩვენ სიმდიდრეს, კიდევაც გაგეხარდეთ იქნება,სხვებთან ერთად, ჩვენი გაწა-მაწია, როგორც უფრო საადვილო, მაგრამ თხის პატრონს კი რას ეუბნებით? თქვენთვის, რასაკვირველია, სულ ერთია, მაგ. ვინ გასწეწავს ოსმალეთის სამფლობელოს, ინგლისი, რუსეთი, თუ გერმანია, მაგრამ აბა ჰკითხეთ ოსმალებს—როგორ მოსწონთ ეს ცარცვა გლეჯა. ან ესეც არ იყვეს, თუკი გულწრფელად თქვენთვის **სულერთი**, თუ როგორ ბურჟუაზია დაეპატრონება ჩვენს მიწა-წყალს—მოიღეთ მოწყალება, და ხელი იქით წაიღეთ როცა ჩვენ ჩვენს **საკუთარ** ბურჟუაზიას უწევთ ანგარიშსა და მისგან უფრო ველით პროგრესის შემოტანას, ვიდრე სომხისა და სხვისაგან. და ნება გვიბოძეთ არ დავიჯეროთ, რომ თქვენ გინდათ პროგრესი კავკასიის **ყველა** (53) ეროვნებისა, როდესაც უმთავრესს ერს, ქართველობას, წინდაწინვე უწინასწარმეტყველებთ სიკვდილს.

—

დრო და დრო იშხანიანი გამოეკამათება ხოლმე ქართულ პრესას და სხვათაშორის ერთ ადგილას (გვ. 54) ამბობს: „საინტერესოა ვიცოდეთ, როდეს აქეთია ქართველი ფეოდალური იდეოლოგები იჩენენ ასეთს სინაზეს და სიკეთეს თავის გლეხობისადმი? ან იქნება ეს საჭიროა იმისათვის რომ ხაზი გაუსვან თავის სიმძულვარეს და ზიზღს კაპიტალისა და კაპიტალისტების მიმართ, რომ დაჰფარონ იგი პოეტური სიტყვებით (жестами) ეფექტის გულისთვის?“—ეს ამონაწერი პირდაპირი ნიმუშია **მეცნიერული** მსჯელობისა: თურმე ყოფილან სადღაც „ფეოდალური იდეოლოგები“, ასეთი ზოოლოგიური ჯიში, რომელიც გლეხობას პოეტური ეფექტისათვის ეალერსება. ჩვენ არ ვიცით, სად აღმოაჩინა ასეთი ტიპი, ალბად ისიც გერმანიაში, იუნკრების ოჯახში და არც აცივა არც აცხელა გადმოლალა საქართველოში... „для вящаго, такъ сказать, эффекта“, როგორც სწერს იშხანიანი (66).

რომელი **ფორმა** **მეურნეობისა** და რომელი კლასის **მეზობლობა** უფრო სასურველია ქართველ გლეხობისათვის (ან საზოგადოთ გლეხობისათვის)? —კითხულობს იშხანიანი და მთელ მეშვიდე თავს უძღვნის იმას, რომ დაამტკიცოს (?) ბურჟუაზიული და კაპიტალისტური წარმოება სჯობია პირველყოფილ მეურნეობასაო, თითქო ასეთს ანბანურ ჭეშმარიტებას ვინმე არ იზიარებდეს დღესა და თანაც ასეთ ანბანის მტკიცებაზედ ამყარებს თავის კამათს ქართველ ნაციონალისტებთან რომელნიც თურმე „სულელურად იმეორებენ უნაყოფო მორალურ ზღაპრებს გარდაცვალებულ ხალხოსნობისას (народ-

ничества)“ 57. იმის შემდეგ, რაც იშხანიანი სთვლის ყველა გაუმჯობესებას და სიკეთეს, რომელიც შეაქვს კაპიტალს გლეხის ცხოვრებაში, იგი სხვათა შორის უმატებს, რომ ფაბრიკები სწევენ მაღლა მიწის ფასსაო, თითქო ესეც დიდი სიკეთე იყოს იმ გლეხობისათვის, რომელზედაც ათიოდე გვერდის წინა სწერდა, რომ მიწა არა აქვს და შიმშილით კუჭი უხმებაო. კაპიტალის სიკეთის დასამტკიცებლად მოჰყავს სხვათა შორის რამდენიმე მაგალითიც (62) რუსეთიდან: დონის ლითონის და ქვანახშირის წარმოება და „ნოვოროსიის საზოგადოება“, რომელთაც ააყვავეს მხარე და ნაწილი დახარჯულ-ფულისა დარჩა მუშებს და ახლო მცხოვრებთაო. იშხანიანი, როგორც ნამდვილი იდეოლოგი ბურჟუაზიისა, სრულიად ხელს აფარებს იმ ნაწილს, რომელიც ექსპლუატატორებმა გაზიდეს **თავისათვის** და იმასაც, რომ მუშებმა მიიღეს მეორე ნაწილი, როგორც სამუშაო ქირა, ე. ი. როგორც კანონი მოითხოვს იმაზედ **ნაკლები**, რაც მათმა ჯანმა შეჰქმნა. შემდეგ ასეთი იდილიური მაგალითიც მოჰყავს: ვიღაც უცხოელებს უყიდნიათ მიწა მემამულეთაგან და გადაუციათ გლეხებისათვის. აი თურმე რა ყოფილა კაპიტალისტური წარმოება და ამიტომ შეგვიშვით თქვენს პროვინციებში, **ჩვენც** ავაყვავებთ მხარეს, ვიყიდით მიწას მემამულეებისაგან და... გლეხებს, ქართველ გლეხებს დაურიგებთ, არა, ბ-ნო მეცნიერო? ასეთ მორალურ ზღაპრებს ხომ ხალხსნებიც ვერ მოიგონებდნენ. (65) მიწის ფასის აწევასთან, თურმე კაპიტალისტების წარმოება სახელმწიფო ფინანსებსაც აუმჯობესებს და ეს საკენკი დაყრილია **მესამე** პირთათვის, რასაკვირველია, რადგან პირველად ვხედავთ სომეხს, რომელიც სახელმწიფო ფინანსებისათვის ზრუნავდეს. მაგრამ იშხანიანი მაშინვე ეშურება სთქვას, რომ მათ (?) არ აინტერესებთ საკითხი კაპიტალისტების ეროვნების, არამედ განსაკუთრებით წარმოების და ტეხნიკის გაუმჯობესება (67)—გვჯერა, გვჯერა რასაკვირველია, მაგრამ რაღა **ჩვენთვის**, ქართველთათვის გიწუხთ გული და გინდათ გააუმჯობესოთ **ჩვენი** წარმოება, ჩვენი ცხოვრება. განა არა სჯობია ასეთი სიკეთე, საკუთარ ხალხს შესძინოთ და იქ ააყვავოთ კულტურა და პროგრესი საცა განსაკუთრებული სიღარიბე და სივაგლახეა—**სომხურ** პროვინციებში და ჩვენი პროგრესის საქმე ჩვენვე მოგვანდოთ? ჩვენ ქართველები საშინელი უკულტურო ხალხი ვართ და ქარის არც შემოტანილი გვინდა, არც გატანილი; მით უფრო რომ სომხური ქარის გატანილი ბევრი გვინახავს და შემოტანილი—იშხანიანცსაც ვერ დაუსახელებია და სულ გარე-გარე უვლის **უცხოელ** კაპიტალს და უცხო მხარეებს (иностраный капиталь).

მაგრამ უტიფრობა ბ-ნ იშხანიანისა აპოგეის აღწევს მეათე თავში, საცა მოურიდებლად ამბობს რომ ყველა ერისათვის (მაგ. ფრანგებსა, გერმანელებსა და სხ.) **უფრო სასურველია ადგილობრივი** კაპიტალი, ვიდრე **უცხოელი** და აქედან პირდაპირი დასკვნა გამოჰყავს, რომ ქართველობა შეუგნებლობას იჩენს როცა უფრო მედგრად ებრძვის სომხურ (ე. ი. ადგილობრივ) კაპიტალს, ვიდრე უცხოელებისასაო. თუმცა ნაწილი (ხიმიკოს მენდელეევის (!?) გამოკვლევით, უკანასკნელის 20%) უცხოეთში მიდისო, მაშინ როდესაც კავკასიური (?) კაპიტალი მთლად **აქვე** ტრიალებსო, ქართულ პროვინციებშივე—აი სწორედ **ამის** დამტკიცება იყო საჭირო და ამაზედ კი **არც ერთი** მაგალითი არ მოჰყავს იშხანიანს და მარტო ასეთს გულუბრყვილო სენტენციას ეჩიდება: სულ ერთია, თუ გასაყიდი მამული სომეხმა არ იყიდა—რუსი ან უცხოელი იყიდისო, თითქო ნაციონალისტების დავა იმაზედ იყვეს—არა, სომეხმა კი არა, რუსებმა იყიდონო და არა იმაზედ, რომ ქართული მიწა ქართველებმავე უნდა შეიძინონ.

* * *

მილიონერის მსხალი

(ჯეონ გრეისისა)

ქალაქ გრავიანიაკის მცხოვრებნი დიდად აღელვა მოულოდნელმა დაბრუნებამ ამერიკიდგან თავის სამშობლოში უმაწვილის კაცის ბარკანიანისა, რომელმაც თან გადმოიტანა მილიონად ღირებული ქონება.

ქალაქის სალაუბოზედ სასჩარად გავრცელდა ეს ახალი ამბავი და ყველანი ამას მოუთხრობდნენ ერთმანეთს...

მოგაგრე დიასახლისები იმდენად იყვნენ გატაცებულნი ემაწვილის მილიონების პატრონად დაბრუნებით, რომ ჩვეულებრივი წუწუნი სახრდოს გაძვირებაზედ, თითქმის გადავიწყდათ...

დახლანდარა ფელიქსს (ასე ერქვა ახლად დაბრუნებულ მილიონერს) წინად ყველანი სოფლიდნენ გამოუდეგარ წყვრად საზოგადოებისა და თავის ოჯახის შემარცხვენელ წყვრად...

ეხლა კი, როდესაც ექვსი წლის გადაკარგვის შემდეგ, ეს სალახანა ფელიქსი დაბრუნდა და თან მილიონები მოიტანა, სუყველანი ერთპირად აქებდენ ამ, ვითომ და ოდესღაც ნიჭიერს და ყოველი ადამიანის საუკეთესო თვისებით შემკულ ყმაწვილ კაცს.

მილიონების მოწყალებით ეხლა ფელიქსი არამც თუ მშვენიერ ვაჟკაცად გადაიქცა თავის მოქალაქეთა თვალში, არამედ იმას მიაწერდნენ დიდს ნიჭს პოეტისას და მუსიკოსისას, ვითომ და სიყმაწვილის დროს ყველასაგან აღიარებულს...

მიზეზი კი ამ მრავალფერის მითქმა-მოთქმისა, რომელიც ექვსის წლის განმავლობაში დახეტიალობდა მთელი ქვეყნის გარშემო და ძლიერ დაიღალა დადარბაისლდა, სრულიად არა ფიქრობდა იმაზედ, თუ რას ამბობენ, ან რა აზრისანი არიან მოქალაქენი ამის ვინაობაზედ და ამის მაღალ ნიჭიერებაზედ.

იმან დაიჭირა საუკეთესო ოთახი ქალაქის საუკეთესო სასტუმროში და პირველსავე დღეს ისახელა თავისი მშობლების საფლავი.

ქალაქში გავარდა ხმა რომ ყმაწვილ ბარკინიანს უნდა იყიდოს ქალაქის მოახლოვებით მდებარე დიდი სასახლე, გააკეთოს ის და შიგ დასახლდესო. თვით ყმაწვილი მილიონერი კი ჯერ გადაწყვეტით არაფერს აპირებდა. დედა ქალაქში დაბრუნება სრულებითაც არ იყო ამის სამუდამო სამყოფელად გადაწყვეტილი, ეს მხოლოდ გრძნობდა ჯერ-ჯერობით სამშობლო მხარის დათვალიერებით სულის სიმშვიდეს, გულის კმაყოფილებას...

უნებლიეთ ეს მიეცა მოგონებათა მშვენიერებას, სიყმაწვილესთან განუყრელად შეკავშირებულს.

სასტუმროს პატრონმა, ამ არაჩვეულებრივი სტუმრის პატივსაცემად, თავის მარნიდგან გამოიტანა რაღაც სანაქებო, მშვენიერის სურნელების და სიტკბოების მქონი ძველის ძველი ღვინო...

ნელა-ნელა, სტაქანს სტაქანზე სწრუპნიდა ფელიქსი ამ ტკბილ სასმელს და თავის შეუმჩნევლად ფხიზელის ამერიკელის მაგივრად, როგორც თავისთავი მიაჩნდა, ალაგობრივი გულუბრყვილო, ცოტაოდენ ეშმაკობას არ მოკლებულ მცხოვრებლად გრძნობდა თავსა.

როდესაც, მეორე დღეს, მოახსენეს რომ ვიღაცას უნდა ამისი ნახვა, ფელიქსმა მოინდომა უარის თქმა, არავისი ნახვა არ უნდოდა, მაგრამ მაშინვე გადიფიქრა. შემოვიდა მაღალ-მაღალი, მთლად გაჭაღარებული მოხუცი, ფელიქსმა მაშინვე იცნო მებაღე, რომლის პაწაწა სახლი და პაწაწინავე ბაღი ამათ სადგურთან იყო მოკრული.

მებაღე ფელიქსს პატარაობიდგან იცნობდა. მოხუცის დანახვამ ფელიქსს მოაგონა თავისი სიყმაწვილის ოქროს დრონი, ბავშვური სიცელქე, ათასი თავგადასავალი და მილიონერ ფელიქსს გაახსენა პატარა ლუქნის შეგირდი ფელიქსი და იმისი ოინები...

კარბინიანთან (ასე უძახდნენ ბებერ მებაღეს) ათასი მოგონება აერთებდა ფელიქსს. სხვათაშორის გაახსენდა ის, რომ მებაღე აჩუქებდა ხოლმე ყმაწვილს ლამაზად კათლილს და პირწვეტიან ჯოხებს, რომლებსაც ფელიქსი ვითომ და ხანჯლებად ხმარობდა; როგორ დაუყუჩებდა ხოლმე გულის წყრომას და ტირილს, როცა მინაურებთან გამწყრალი იყო ხოლმე, როგორ უთავაზებდა ხოლმე საუკეთესო მსხალს თავის ბაღიდგან...—გამარჯობა, მოხუცო! შეჰყვირა ფელიქსმა. არავის ნახვა გამახარებდა ამგვარად, გეფიცები!

სიხარულის ღიმილმა მოიცვა მოხუცებული მებაღის სახე და გაეშალა იმას—ჩაღრმავებული ჭმუხნები.

— როდესაც შევიტყვე თქვენი დაბრუნება ბატონო ფელიქს, მე სულახლად გავახალგაზრდდი, უპასუხა მებაღემ და ფრთხილად დაუწყო შლა რაღაც გამოკრულ პარკს, რომელიდგანაც ამოალაგა ორი მშვენიერი, გვერდებ დაბრაწული მსხალი...

და ახსოვდა რა მოხუცს, რომ ფელიქსს არაჩვეულებრივ უყვარდა მსხლის ჭამა, მოწიწებით მიაწოდა ეხლანდელ მილიონერს.— აკანკალებულის ხმით შეეკითხა: თქვენ ხომ კიდევ გიყვართ მსხლები, ბატონო ფელიქს:

ფელიქსმა დაბლად თავი დაუკრა, ეს ღრმად იყო აღელვებული მოხუცებულის გულით მოძღვნილით და არ იცოდა რითი გადაეხადა სამაგიერო. იმასთანვე გაფცქვნა ერთი მსხალი, შეაქო ამის მშვენიერი გემო და სურნელოვნება. კმაყოფილი და ბედნიერი კარბუჩიანი, რომ ასიამოვნა თავის ყმაწვილ მეგობარს, მალე წავიდა. ფელიქსმა მაშინვე ჩასდო კონვერტში ორი ათასი ფრანკი (თითო მსხალში, ათასი ფრანკი) და საჩქაროდ გაუგზავნა მოხუცებულ მებაღეს. „დეე საწყალმა მოხუცმა, ფიქრობდა ფელიქსი, სიბერის დროს მაინც აისრულოს მთელი თავისი სიცოცხლის ნატვრა—ბაღის გაგანიერება“...

დიდებული ფეშქაშის ამბავი ელვასავით მოედო ქალაქს და კვლავ გამოიწვია ათასი მითქმა-მოთქმა და მღელვარება.

ზოგნი ჰკიცხავდნენ ფელიქს, ეს ამპარტავნობით და ბაქიობით მოუვიდაო, ზოგნი კი პირიქით, უწონებდნენ, ეს გულკეთილობის შედეგიაო.

გულში კი ბევრნი შენატროდნენ ბებერ კარბუნიანს და ფიქრობდნენ, ნეტა თუ როგორ მოვახერხოთ, რომ ჩვენც გამოვცინცლოთ რამ მილიონერსაო.

მაგრამ ყველაზედ მეტად სცდილობდა და ოცნე-

ბობდა ამაზედ ცხენის დალალი, ერთი ვინმე თევდორე რიბანესი, კაცი განთქმული თავისის კრიჟანგობით.

ეს თევდორე ვერას გზით ვერ ურიგდებოდა იმ აზრს, რომ მებადემ ორ მსხალში ორი ათასი ფრანკი აიღო.

— ორი ათასი ფრანკი! ორი ათასი ფრანკი ორ მსხალში! ყვიროდა ის გაშმაგებით.

ერთ მშვენიერ დღეს ეს რიბანესი იახლა მილიონერს და დიდად გააკვირვა ეს უკანასკნელი, გააკვირვა რადგან არავითარი კავშირი და მეგობრობა არ ჰქონია იმასთან არასოდეს.

თევდორემ მოახსენა დიდი ქებით სავსე სიტყვა თავისი და მთელ ქალაქელთა დაბარებით, განუცხადა სიხარული და აღტაცება რომ ბ. ფელიქსი დაბრუნდა თავის დედა ქალაქში და დაუმატა:

— ჩემი გული, ძვირფასო მეგობარო, აღსავსეა თქვენდამი უწრფელესის სიყვარულით და უზომო სიხარულით, რომ უვნებლად დაბრუნდით სამშობლოში და რომ ჩემი სიტყვები არ მიიღოთ ცარიელ სიტყვებად, ნებას ვძლევ ჩემს თავს მოგიძღვნათ პატარა სახსოვარიც! — მიიღეთ შრომა, ბატონო ფელიქს, გაიხედეთ ფანჯრიდგან! — აბა რას ხედავთ თქვენ იქ?

— მე ვხედავ ძვირფას საჯდომ ბედაურს.

— ის თქვენ გასახელით, ბატონო ფელიქს!

— მე? გაკვირვებით მიუგო ფელიქსმა, როგორ, მე სრულიადაც არა მაქვს სურვილი ცხენის ყიდვისა...

— მაპატიეთ, ბატონო, აწყვეტინებს თევდორე — თქვენ ისე არ გაიგეთ ჩემი წადილი! ამ ცხენს თქვენ გფეშქაშობთ ჩემ მეგობრობის ნიშნად.

ფელიქსი ჯერ გაკვირვებული იყო ჩარჩის ალერსიანი მოსალმებით, მაგრამ ახლა კი ნათლად მიხვდა იმის ხრიკებს.

— მე სრულიად ღირსი არა ვარ მაგგვარის ძვირფასის საჩუქრისა, დაიწყო მილიონერმა, მაგრამ მაინც დიდის მადლობით ვიღებ თქვენ მოძღვნილს. — მხოლოდ არ ვიცი რითი გადაგიხადოთ, დაუმატა იმან, — ბებერ კარბენიანს, ორ მსხალში ორი ათასი ფრანკი მივეც, განა ეს თქვენის აზრით, ჩემო მეგობარო, დიდი სისულელე არ იყო ჩემის მხრით?

— სულაც არა, მიუგო გამოჩენილმა ძუნწმა ფელიქს.

— მაშ თქვენის აზრით მართალი ვიყავ, რომ აი ამ მსხალში, რომელიც აქ სტოლზედ სდევს, ათასი ფრანკი მივეცი?

— სწორედ აგრე უნდა მოქცეულიყავით, მიუგო ძუნწმა და თან თავის ჭკუაში ანგარიშობდა: თუ ერთ მსხალში ათასი მისცა, ჩემ ბედაურს რადას გადაუწყვეტსთ?

— დიდად გმადლობ! თქვენი აზრი მე მაბედვინებს, გადავსწყვიტო რომ, რადგან ჩემის აზრით და თქვენის მოწონებითაც ეს მსხალი ღირს ათას ფრანკათ, თქვენ მოგიძღვნათ იგი თქვენის ძვირფასის საჩუქრის სამაგიეროდ და ამასთანვე განგიცხადოთ ჩემი გულითადი მეგობრობა, ძვირფასო რიბანესო!

თევდორეს იმის მეტი აღარა დარჩენოდა-რა, რო მიელო ათას ფრანკიანი მსხალი მილიონერის ხელიდგან და დარცხვენილი გასულიყო.

მთელი გრავინიაკი იცინოდა ამ შემთხვევაზედ და მასხარად იგდებდა საწყალ ჩარჩ თევდორეს, რომელსაც მას აქეთ დეერქვა „მილიონერის მსხალი“ და ამ სახელს ატარებდა იგი მთელ თავის სიცოცხლეში.

ეკ. გაბაშვილისა.

რუსის ომი

მეფე სოლომონ დიდს ოდიშის მთავარმა, მისმა ცოლის ძმამ, თავის უწარჩინებულესი დარბაისლები აახლა და მოახსენა:

— თქვენს სამეფოს, ჩემი სამთავროის საზღვრებზე, მოაწვა მთელი აფხაზეთის, ჯიქეთის და ალანის ლაშქრებით ქელეშ-ბეი შარვაშიძე და შთანთქმას გვიპირებს. დამიფარეთ, რადგანაც მარტო ჩემი სამთავროს ძალა არ იკმარებს მტრის დასახვედრათო.

მეფემ დაუხანებლად გასცა ბძანება, რომ ყველას სადროშოების ჯარები საჩქაროდ ამხედრებულიყვნენ და ს. ბანძას მოეყარათ თავი. ოდიშის მთავარს კი შეუთვალა, მტერს ჩემს მოსვლამდი, თუ შეიძლო, ნუ შეებმი; სანამ მე მოვიდოდე, ხმა დაჰყარე, რომ მე ოსმალეთს ვუპირებ შესევას და შენს შველას არ ვფიქრობო.

მეფემ მოსთხოვა გურიელსაც, რომ დასწრაფებით მოეკრიბა ჯარი და ბანძას მისულიყო შიდაიმერეთის ლაშქართან შესაერთებლად. მთავარმა შეასრულა ეს მოთხოვნილება. გურიის ჯარის ბაირაღტრად იყო ებალაურელი აზნაური ჭყონია, რომელიც რიონში ფონათ გასვლის დროს, შინ გაიპარა. ამ საქციელისათვის გურიელმა ჩამოართვა მას მიწა-წყალი, ყმები და სიგელით მიუბოძა გომახურელ

ქყონიას, რომელზედაც გადავიდა ბაირაღტრობა ებალაურელის გაპარვისთანავე *).

ბანძიდან მეფე თვით წარუძღვა ჯარს და ერთი ასმით მივიდა რუხის ციხემდი. მეფის ბაირაღტრად იყო საჩინოელი როსტომ ლორთქიფანიძე **) მეფის ასე მოულოდნელად მოვლინებამ ზარი დასცა სამტროდ მოსულებს და ქელეშ-ბეგმა გამართა მეფესთან სამშვიდობო მოლაპარაკება. ეს არ იამათ ოდიშის მთავრის კარის კაცებს. მათ ეშინოდათ, რომ ამ მორიგების შემდეგ მეფე მეტის-მეტად არ გაძლიერებულიყო. მეფესთან დაზავებული შარვაშიძე მათთვის საშიში იქნებოდა. უცებ ქელეშ-ბეგის ბანაკიდან გავარდა ზარბაზანი და ყუმბარა დაეცა მეფის კარავის ახლო.

ოდიშარებმა მოახსენეს მეფეს, რომ აფხაზებმა დროის მოსაგებად გამართეს სამშვიდობო მოლაპარაკება, ეხლა მოასწრეს დამარაგება და ღალატით მოინდომეს თქვენი მოკვლა, თორემ რად უნდა ესროლათ ზარბაზანი მოლაპარაკების გათავებამდიო!

აბხახაზების თქმულებით ის ზარბაზანი დადიანის შესყიდულმა კაცმა გაასროლინაო. ასე იყო, თუ არ იყო, რაკი ოდიშართა ნათქვამი სიმართლეს ძალიან ჰგავდა, მეფე ერწმუნა მათ და ნება უბოძა სარდლებს დაეკრათ ბუკი და დაეწყოთ ომი.

ამ ომში სოლომონის ლაშქარში ყველაზე უფრო თავი იჩინა სიმამაცითა და თავდარიგიანობით თ. გიორგი წულუკიძემ, ქელეშ ბეგის ჯარში კი — მისმავე ძმამ—ბექირ-ბეიმ. იმ დროინდელი პოეტი ბესიკი (გაბაშვილი) ბექირ-ბეის რუხის ომზე დაწერილს ლექსში:

„...მათგან მხოლოდ ერთსა ვაქებ:
„წითლად მოსილს, გულად სპილოს,—
„თავი სრულად გარდაეგო,
„არვის ჰრიდებს ვინც ეცილოს;
„მხედარია უებარი,
„ხშირად იცვლის ისრის კილოს,
„ჰკრის ვისაცა, მიწად დასცის,
„შეამსგავსის სასიკვდილოს“ ***)...

ხრესილის ომში გამარჯვებული გაამაყებული იმერეთის ლაშქარი დიდი რიხით მოვიდა დაკავშირებულ მტრებზე იერიშით. გურულებს და ზემო იმერლებს შეხვდათ ჯიქ-ალანების გუნდთან შეტაკება; მთების ლაღი შვილები მამაცურად იბრძოდნენ, ბოლოს მაინც იძულებულნი გახდნენ ებრუნებინათ პირი და გაქცეულიყვნენ რაზმ-არევით და კვალ-შეშლით. თვით აბხაზების ლაშქარი კი ურყეველ ბურჯად იდგა და თავ-გამოდებით ეჩეხებოდა ოდიშართ და ქვემო-იმერლებს. ჯიქ-ალანთა გაქცევის შემდეგ მეფე მიიჭრა თავის მთავარ სარდალთან:

— ქაიხოსრო (წერეთელი) ეს რა ამბავია? ხონთქარის ლაშქრის გამწყვეტს აბხაზები უნდა გიჭირვებდეს საქმეს?!

— ბატონო, თქვენი რისხვა მქონდეს, თუ ბექირ-ბეი შარვაშიძე ერთ სახონთქროს ლაშქრად არ ღირდეს! ის რომ არ იყოს, ომი დიდი ხანი მოგებული გვექნებოდა!

ამ სიტყვებს შემდეგ მეფემ დურბინდით მტრის ჯარში დაუწყო ძებნა ბექირ-ბეის და როგორც კი მოჰკრა თვალი, მყისვე შეუტია.

იგივე ბესიკი ასე აგვიწერს ამ რაინდულს ეპიზოდს:

„მეფემ იმ ყრმას შეუტია, შეუძახა ხმითა ხაფეთ!
ჩვენ კი შიშმა აგვიტანა... „საშენოა“ მივაძახეთ!
და ერთმანეთს ჩავჩურჩულეთ: „ვაჲ თუ მისგან გვეილახეთ!“ *)

მეფემ და ბექირ-ბეიმ ერთმანეთს ხმალის მოსაქნევზე ჩაუჭენეს ცხენები, თვალი თვალს გაუყარეს, მარა ერთმანეთისათვის არც ხმალი მოუქნევიათ, არც არა უვნიათ რა.

მერმე ეკითხათ სოლომონისა და ბექირ-ბეისათვის, თუ რატომ გაუშვეს ერთმანეთი უვნებლად. მეფეს ებრძანებინა:

— არასოდეს არ შემხვედრია ბექირ-ბეისთანა ვაჟკაცი. იმ წუთს, როცა მან რუხის ომში ცხენი ჩამომიჭენა ისეთი ზავთიანი იყო მისი ვაჟკაცური გაბედულობა, რომ საუცხოვოდ მომეწონა და მომესურვა მისი დაახლოვება და სამშობლოსათვის გამოყენება. ვიფიქრე, დღეს თუ სამშობლოს ქრისტიანთ ხელს უშლის, ხვალ იმავ სამშობლოსივე მცველი გამოდგება. ამიტომაც შემბრალდა მისი სიყრმე, ველარ გავიმეტე გასაფუჭებლად! შემემართა, არა მგონია, უმარცხოდ გადავრჩენილიყავ.

ბექირ-ბეის ეთქვა:

— ხლმის მოსაქნევზე რომ მიუახლოვდი მეფეს, უფროს-უმცროსობის რიგისამებრ, ჯერ მისგან ველოდი ხლმის პირველ მოქნევას... არც მან ინე-

*) თავადის გრიგოლ დავითის ძის გურიელის ნაამბობი.

**) თ-დის ასლან წულუკიძისაგან გაგონილი.

***) მამია გურიელისაგან გაგონილი.

*) მამია გურიელისგანვე გაგონილი.

ბა შემოტევება, და მეც ისე გამლალა თვალით, რომ აზრადაც არ მომსვლია პირიქით შემებედა *)..

მეფის შეტაკების დამნახავს იმერთა ლაშქარს აუჩქროლდა სისხლი და ერთხელ კიდევ მიიტანა აბხაზებზე იერეში. თოფმა ადგილი დაუთმო ხმალსა და სატევარს (ხანჯალს). ომი ომს აღარა ჰგავდა: ბრძოლის ველი გადაიქცა საყასბოდ, სადაც კაცი კაცს საქონელსავით ყელს უღადრავდა, კისერს და თავს სჭრიდა, შიგნავდა. სისხლის ღვარები შეერთვენ ენგურს და მისი ტალღები შეღებეს წითლად...

გამარჯვება დარჩა მეფეს. აბხაზებმა მიატოვეს ბრძოლის ველი, მაგრამ ბექირ-ბეის სიმამაცემ და და სამხედრო საზრისმა გადაარჩინა იგი აწიოკებას; მისი უკან დახევა არ ჰგავდა გაქცევას, სამთავრო დროშა და მეტი წილი ზარბაზნებისა გადაარჩინა.

ნაომევს, ბრძოლის ველზედვე მეფეს ეახლენ კარავში მთავრები, სარდლები და ლაშქრები რიგ-რიგად, გამარჯვების მისალოცად და ნაშოვრის მისართმევად. მეფე გამობრძანდა კარვიდან და სავარძელე დაბრძანდა. სახლთ-უხუცესმა დახია უკან მოსალოცავად მოსულნი, დატოვა ფართო ადგილი მეფის ირგვლივ და დაიწყო ცერემონია მილოცვისა.

უცებ შეიქნა ჩოჩქოლი. წრე მხედართა გაირღვა და გამოჩნდა როსტომ ნიჯარაძე. მას მოჰყავდა მხარ-გაკრული ტყვე — მაღალი ბრგე, მხარ-მკერდ განიერი, სადა იარაღ „ჩაკიპული“, აბხაზურად ყაბალახ მონახური. მიუახლოვდა თუ არა მეფეს, როსტომმა დაუჩოქა, მიულოცა გამარჯვება, გაუგორა ფეხთ ქვეშთ ტყვია — „თქვენ მტერს გულშიო!“ დააყოლა და მიართვა მეფეს ტყვე.

— ერთია, მარა ოც სხვების დაჭერილ აბხაზად ღირს. შეხედეთ თქვენი მოწყალე თვალით, რა მოსული ვაჟკაცია! — როსტომ მფრთხალია, როსტომი საბერიაო, — მოგახსენებდენ ჩემი მტერ-მოყვრები და აჰა... მეც გავისვარე კაცის სისხლით ხელი! ძლივს გადამირჩა ბექირ-ბეი, ამ წუწკმა იპატივა — შეხედა თავის ტყვეს — მარა, არაფერია, თუ შევხვდი კიდევ სადმე... იმედია... უფრო გამოცდილად მოვიქცევი. დღეს პირველად ამოვიღე ხმალი ქარქაშიდან. ნუ დამძრახავთ მოწყალეო ბატონო!..

— წინ წამოდეგ, შე ქეციანო! დაუბღვირა ტყვეს, რომელისაც უფრო ახლო ჩვენება უნდოდა მეფისათვის, და თოფის კონდახი ჩაჰკრა ფერდში. მხარ გაკრულმა მორთო ღრიალი:

— ვაჲმე, დიდებულო მეფე! მომკლა ამ შეჩვენებულმა!.. ახობაძე ვარ ბატონო, ქვიტირელი!.. რა მიგავს აბხაზს... ვა.. იი... მთხოვა ერთს წამს მეფესთან მიმყევი მხარ გაკრული, ვითომ ტყვე ხარო... ულელ ხარს დამპირდა... რა ვიცოდი მე საცოდავმა, თუ ტყლირჰს ჩამიქცევდა... ოოჰ!.. *)

მეფემ შერისხა როსტომი, იმიტომ კი არა, რომ ომში არ შესულა, არამედ მოტყუილებისათვის.

იქვე არჩილ ბატონიშვილმა სთხოვა მეფეს როსტომის თავი.

— მაგის (როსტომის) სიფრთხალემ შეიძლება სხვაც გაიტაცოს, რაკი თ-ვნი სიყვარული არ აკლდება, და ეს ქვეყნას არ მოუხდება. ექვს თვეში გავამამაცებ მაგას, თქვენი რისხვა ნუ მექნებაო **).

მეფემ შეისმინა არჩილის თხოვნა და, თუმცა როსტომს სიმწრის ცრემლები მოადგა თვალზე, მაინც გასცა ბრძანება ჩაერიცხათ იგი არჩილის საბატონიშვილო თავადათ. *)

თ. მ-გმაძე.

---

*) გიორგი მიხეილ. შარვაშიძისაგან გაგონილი.

*) თავადი იასონ წულუკიძისაგან გაგონილი.

**) იაკ. ყიფიანისაგან გაგონილი.

*) ძველი საქართველო ტომი II.

პრესა

გაზ. „ფიქრი“ 14 აპრილის ნომერში ეხება დ. ყიფიანის ღვაწლს და სრულიად აქარწყლებს მისს მნიშვნელობას. მას უკვირს და ვერ გაუგია:

> ...„რად აღიარებენ ჩვენი ნაციონალისტები დ. ყიფიანს დიდებულ ქართველად? რად აყენებენ მას მართლა უკვდავ ქართველთა გვერდით? რად აღიარებენ მას საქართველოს ერთ-ერთ დედა-ბოძად?!... შეიძლება მიბრძანოთ, მან ექსარხოს პავლეს სიტყვა შეუბრუნა და მისთვის მოწამებრივი გვირგვინი დაიმსახურაო. მაგრამ დღეს ეს არც ისე დიდი საქმეა“...

ყოვლად შეუძლებელია წარსული დროის მოღვაწეთა, დიდ ბუნებოვან ადამიანთა შეფასებაში ამნაირი მეთოდი. ყოვლად უვარგისი და ცალმხრივი, კიდევ მეტი, ყოვლად უაზრო იქნება მთელი შრომა თუნდ გენიოსი მეისტორიესი, თუ იგი წარსულ დროთ და იმ დროში მომქმედ პირთ თავისი თანა-

მედროვე თვალსაზრისით გაშინჯვას და თანამედროვე საზომით გაზომავს ამ მოღვაწის მოქმედებას, მაშინ იძულებული ვიქნებით მთელი ისტორია და მაში ბევრთა-ბევრი სასიქადულო და სამაგალითო მოვლენანი და მოღვაწეობა სანაგვეში მივხვეტოთ. ნუ თუ „ფიქრი“ ვერ ატყობს რა შეცდომას, მეცნიერულს, მეთოდოლოგიურ შეცდომას აკეთებს, როდესაც ისტორიული მიმოხილვის დროს იგი საზვერავ პუნქტად თანამედროვე გონებრივ განვითარებისა და პოლიტიკურ აღზრდის ნიადაგს ირჩევს და ისტორიას გვაწვდის?! ამ მეთოდით რომ ვიხელმძღვანელოთ, რამდენი მეცნიერი, რამდენი ფილოსოფოსი ჩაითვლება ბალღად! მაგალითად, ფილოსოფიის ისტორიკოსნი, რომ აგრე მოიქცნენ, ხომ მთელი ძველი ფილოსოფია სასაცილოდ აგდებული უნდა იქნეს! მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, რადგანაც ეს წარსული საძირკველია აწმყოსი და მომავლისა. ადამიანის აზროვნებას მთელი ეს გზა რომ არ გამოევლო, მაშინ ხომ კანტიც ვერ გაჩნდებოდა და ხომ ცხადია, რომ კრიტიციზმი მეტაფიზიკაზე ადრე ვერ შემუშამდებოდა! თუ მიუდგომელი ცნობა უნდოდა „ფიქრს“ დიმიტრის შესახებ მოეწოდებინა, სამართლიანობასაც ყურადღება რომ არ მივაქციოთ, ის მოვალეობა მაინც უნდა აესრულებინათ, რასაც თანამედროვე მეცნიერება გვაკისრებს და მხოლოდ თუნდაც „მოსოციალისტე-ნაციონალისტების“ გამოჯავრებით, ასეთ უკადრისს საქმეს არ უნდა კადრულობდნენ.

...„ვის ეტრფის, ვის შესტირის, ვინ მიაჩნია იდეალად სამოციანი წლების ლიტერატურას? ძველი ფეოდალური საქართველო“-ო

ვერც ამაში დავეთანხმებით გაზ. „ფიქრს“. ამ აზრს მჭერმეტყველურად არღვევს ილიას „გლახის ნაამბობი“, „კაკო ყაჩაღი“, „ოთარაანთ ქვრივი“; აკაკის პოეზია, რაფიელის მოღვაწეობის მეორე ნახევარი, ალ. ყაზბეგი და სხ. და სხ. ყველაფერი შეიძლება ვსთქვათ, მაგრამ ჩვენს „ლიტერატურაში“ ე. ი. წყობილ-სიტყვაობაში რეტროგრადობას, კონსერვატიზმს ადგილი არა ჰქონია, მით უმეტეს მესამოცე წლებიდან. სასურველია მოწინააღმდეგებთან კამათში მეტი სიმშვიდე, თორემ გულისთქმამ გატაცება იცის და სამართლიანობას გადავლახავთ.

მ ო წ ო დ ე ბ ა

როგორც გაზეთებიდან სჩანს მთელი ჩვენი საზოგადოება გულ-მხურვალედ ეკიდება ილიას სახლის გამოსყიდვის აზრს თბილისში და მალე სამყოფი ფულიც შეგროვდება. მაგრამ უმეტესი ყურადღების ღირსია ის სახლიც ს. ყვარელში, სადაც დაიბადა ჩვენი დიდებული პოეტი, ის სახლი, სადაც იმან პირველად გაახილა თვალი და რომელი ადგილის სიყვარულიც სიკვდილამდის არ მოჰშორებია მის გულსა. ს. ყვარელი ჩვენთვის ქართველებისთვის სათაყვანებელი უნდა იყოს, როგორადაც მუსულმანთათვის მექა, და გერმანელთათვის გიოტეს სამშობლო – გეიმარი. ის სახლი სადაც დაიბადა ილია, ჩვენ უნდა გავხადოთ ტაძრად, რომ ყველა ქართველი მოდიოდეს აქ თაყვანის საცემლად. ეხლა კი იქ არის მოთავსებული უსახსრობის გამო, ძალიან ღარიბი ბიბლიოთეკა, რომელიც ინახება მცირე რიცხოვან ინტელიგენციის საწევრო გადასახადათ. ახალმა კლუბმა შემოსწირა 400 მ. შენობის შესაკეთებლად, მაგრამ ფული არ იკმარებს შენობისათვის. ეზო ხომ ისეა გაშარავებული რომ ილიას საკუთარი ხელით დარგული ხეხილი სულ გაფუჭებულა. კარგი იქნებოდა ყვარლის სახლ-კარიც ისე შეეკეთებინათ, როგორც შეჰფერის დიდებულ ქართველის დიდებულს აკვანს.

ს. ყვარელი. ე. ჭავჭავაძე.

უკანასკნელი ამბები

საადგილ-მამულო კომისიის სარეორგანიზაციო პროექტი რომელიც ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში იყო დაბეჭდილი, დეპუტატთა საკრებულომ მრავალ ქართველ მოღვაწეთა თანადასწრებით, 14 აპრილის სხდომაზედ ერთხმად მიიღო და დაადგინა, ზოგიერთი სარედაქციო ცვლილებით, შეიტანოს მომავალ საგუბერნიო სათავად-აზნაურო კრებაზე დასამტკიცებლად. დარწმუნებულნი ვართ, რომ საგუბერნიო კრებაც მიიღებს ამ პროექტს და მკვიდრ საძირკველს ჩაუყრის დიდ საქმეს. და ამით გზას მისცემს ჩვენს მომუშავე ინტელიგენტთა ძალებს ყოველმხრივ მიეშველონ **რეალურად და პრაქტიკულად** ჩვენს საბედისწერო აგრარულ საკითხს.

პრიკაზის ვალი. მეტად უცნაური ამბები მოგვდის კახეთიდან. როგორც მკითხველს ეცოდინება, კახეთის რკინის გზის ლიანდაგის გაჭრის დროს

ბევრ კახელ მესაკუთრე გლეხს და თავადს მრავალი მამული ჩამოაჭრეს, რომელიც დაფასებული იყო და რომლის მაგიერ მესაკუთრენი გზისაგან ფულს იღებდნენ. ზოგნი კი თანახმანი იყვნენ ფულის მაგიერ კახეთის რკ. გზის აქციები აეღოთ, ეხლა, როგორც გვატყობინებენ ამ ჩამონაჭრების ყოფილ მემამულეთა შორის დიდი აურ-ზაურია. მთავრობის სახელმწიფო ბანკმა გასცა ბრძანება რომ ხსენებულ მემამულეებისათვის ფულის ჩაბარების დროს დაჭერილი იყოს ძველად-ძველი სახელმწიფო პრიკაზის ვალი. თუ ეს ბრძანება შესრულებული იქნება, მაშინ ბევრი მემამულე ვერც ერთს შაურს ვერ მიიღებს. სწორედ საკვირველია რაღა ამ გაჭირვებულ ხალხს მიადგა სახელმწიფო ბანკი (მეტადრე როდესაც ბევრს კახელს უკანასკნელი ვენახები ჩამოართვეს) და ნეტა რა უფლებით? კახეთის რკინის გზას აშენებს კერძო საზოგადოება, რომელსაც ადგილობრივმა მკვიდრმა ხალხმა, სამადლობელოდ, კეთილ ინება და მეტად იაფად დაუთმო მას თავისი ბამულები, როგორც **კერძო საზოგადოებას**. ამრიგად ეს იყო კერძო მორიგება კერძო საზოგადოებათა და კერძო პირთა შორის და რა შუაშია აქ სახელმწიფო პრიკაზის ვალის გადახდა; მით უფრო რომ ეს აქტი დიდი უსამართლობაც იქნებოდა იმ მხრივ, რომ დააწვებოდა მარტო იმათ, ვისიც ბამულები ძალდატანებით იყიდება. პრიკაზის ვალის გადახდას თავისი კანონიერი გზა აქვს და თავისი დროც. ამიტომ სახელმწიფო ბანკის განკარგულება ჩვენ მოუხერხებლად და უსამართლოდაც მიგვაჩნია. იმედია, დეპუტატთა საკრებულო საჭირო ზომებს არ დააყოვნებს, და ამ საქმეს ხსენებულ მემამულეთა სასარგებლოდ მოაგვარებს.

— —

საერობო ავტომობილები. უკანასკნელ ამიერ-კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს, ადგილობრივ მმართველობას შეუტანია წინადადება, რომ ამიერ-კავკასიის საერობო მართველობამ შეიძინოს ავტომობილები: ერთი დიდი მთავარი ავტომობილი ცენტრალურ მართველობისათვის (краевой) და თითო-თითო ყველა გუბერნიებზე (губернскія автомобили). ეს წინადადება მიუღიათ.

კეთილი განზრახვაა, რასაკვირველია, მაგრამ მაინც რა გზით აპირობენ სეირნობას ამ ავტომობილებით „მთავრობის ერობის“ ჩინოვნიკები? მაგალითად ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დღეს ყველა ეს ავტომობილები მარტო მუღანში, სოფ. ვორონცოვკაში და სამხედრო გზით ქ. კავკავში ივლიან! სხვაგან ჩვენ არსად არ გვეგულება საავტომობილო გზები... მაგრამ იქნებ ამ ავტომობილებმა მართლაც გზები გაგვიკეთონ? ხომ ნათქვამია — ურემი რომ გადაბრუნდება — გზა მაშინ გამოჩნდებაო... ერთი-ორი ავტომობილი ჩვენს გზაზე რომ გადაბრუნდეს, უსათუოდ ჭკუას ასწავლის ჩინოვნიკურ ერობას... რომ ჯერ ნამდვილი ერობაა საჭიროა, მერმე გზების გაყვანა-გაკეთება და მერმე ავტომობილების სახალხო — საერობო ხარჯზედ ყიდვა.

— —

თათბირი მარტყოფში. დღეს მთავრდება სამეურნეო თათბირი სოფ. მარტყოფში (თბილისის მაზრა), რომელიც მოწყობილი იყო ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით. მეტად მნიშვნელოვანია ამ თათბირების მუდმივი მოწყობა ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში და ჩვენი სამეურნეო საზოგადოებაც ამ მხარეს, როგორცა სჩანს, დიდ ყურადღებას აქცევს. მაგრამ, ვგონებთ, ამაში სათათბირო რაიონების არჩევასაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა, რომ საზოგადოების მუშაობამ რაც შეიძლება მეტი მკვიდრი სოფლელი ხალხი მიიზიდოს და დაინტერესოს. შარშან თათბირი მოწყობილი იყო სოფ. საგარეჯოში. ამ წელს იქვე ახლო მდებარე სოფ. მარტყოფში. ეს, ვგონებთ შეცდომაა, რადგანაც მაგალითად მდიდარი ქართლი ამ მხრივ ჯერ სრულიად მოუვლელია; ამ თათბირებს კი უკანასკნელი მეტად საჭიროობს. ამიტომ შემდეგი თათბირი უსათუოდ ქართლში უნდა იყოს მოწყობილი და მასთან ორგვარად: ერთი ზემო ქართლში, მეორე — ქვემოში.

— —

სამელიორაციო ბიუროს, რომელიც ამზადებს მასალებს მომავალ სამელიორაციო კრებისათვის თბილისში, გამოუცია. კიდეც თავისი საინტერესო ბიულეტენები. საჭიროა ეს ბიულეტენები ქუთაისშიაც მიაწოდონ, სადაც სამელიორაციო საქმეს დიდი მომავალი მოელის და რისთვისაც დასავლეთ საქართველოს მოღვაწენი შესაფერისად უნდა შეემზადნენ...

— —

ტირიფონა. გამწვავებულ მდგომარეობის გამო, ამჟამად ზოგიერთი ზომებია მიღებული. იკრიფება დაწვრილებითი სტატისტიკური ცნობანი ტირიფონას მცხოვრებთა და საზოგადოთ ქართლის ინტე-

რესთა დასაცავად. იმედია, ტირიფონას მდგომარეობის და მნიშვნელობის ახლად გაცნობა თვალებს აუხილავს, როგორც ბევრს ჩვენს უიმედო სკეპტიკოს მოღვაწეებს, ისე მთავრობასაც. პირველთ აამოქმედებს, მეორეთ უკან წააღებინებს თავის ქვეყნის მეურნეობისათვის ყოვლად მავნე განკარგულებას. სხვათაშორის ირკვევა, რომ ტირიფონით დაინტერესებულია მრავალი სხვა, ამ ველის გარშემორტყმული სოფელი, რომელიც ტირიფონით იკვებება და სცხოვრობს. ამასთან ისიც მართლდება, რომ ტირიფონის მომავალით დაინტერესებულია არა მარტო მთელი ქართლი, რომელსაც ეშველება ხოლმე მოუსავლობის დროს, არამედ სხვა რაიონებსაც. ქ. გორის და ახალ გორის ვაჭრები მოწმობენ, რომ ტირიფონის პური, ქერი, თივა, ბზე და სხვა მუდმივ მიაქვთ ყარსის ოლქში, ჯავახეთში, ბათომის მხარეს და სხ.. ერთი სიტყვით, ტირიფონის 17,000 დესეტინის ამოგლეჯა დასავლეთ ამიერკავკასიის მეურნეობისთვის ფრიად საზარალოა და შეუწყნარებელი.

——

მადლობის ადრესი. ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლის გამგეობამ 14 აპრილს დაადგინა გაუგზავნოს თ-დ გიორგი ოთარის ძე ამილახვარს მადლობის ადრესი იმის გამო, რომ არ გამოსწირა მამული გლეხ-კაცობას და ღონისძიება მისცა დარჩენილიყვნენ თავის მამა-პაპათა სამკვიდრებელზე.

„სახ. გაზ."

——

კ. ბალმონტი და ზურნა. როდესაც კ. ბალმონტი ქართულ თეატრში შედიოდა, უცბად ისეთი ზურნის გრიალ-ღრიალი გაისმა, რომ ახლო მდგომი ხალხი თავზარ-დაცემულნი ეცნენ ერთი-ერთმანეთს კითხვით, რა ამბავია, რა მოხდა? კ. ბალმონტს ქართველობა ზეიმით უხვდებაო.. წარმოიდგინეთ რას იგრძნობდა საბრალო რუსის პოეტი, ამისთანა ზეიმით დახვედრილი?!. ტყუილად კი არ ოხუნჯობდა ერთი ხუმარა... კულუარებში კ. ბალმონტმა გვითხრაო: მრავალი ქვეყნები მოვიარე, ბევრი ხალხი ვნახე მაგრამ ყველაზედ ძალიან მომეწონა და მომხიბლა მათ შორის ავსტრალიელ მაორიებმა, აფრიკის გოტენტოტებმა და... ქართველებმაო... (sic!)

მოდით და ჩვენს ევროპიულ ზეიმებს ზურნა-ღუდუკი მოვაშოროთ ხოლმე... თორემ ამწუთს მართლა გოტენტოტებს ვეგვანებით ცოტათი!..

——

გამოვიდა და იყიდება ნემესიოს ემესელის თხზულება: **„ბუნებისათვის კაცისა"**, ბერძნულიდგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა და გამოსაცემად დაამზადა ს. რ. გორგაძემ. წიგნს თავში დართული აქვს გამოკვლევა წინასიტყვაობის სახით, ბოლოში ლექსიკონი და ხელნაწერის უმთავრეს სხოლიოთა საძიებელი. წიგნი გამოსცა საეკლესიო მუზეუმმა და ღირს ორი მანეთი.

ცირკულიარები

„სოფლის მასწავლებელთ ეკრძალებათ კოოპერაციაში მონაწილეობის მიღება".

(გაზეთებიდან)

რუსეთში ყველაფერი შესაძლებელია. შეიძლება ერთ დღეს იუსტიციის მინისტრმა იფიქროს, მაგ., რომ ურემი პოლიტიკურ მშვიდობიანობას არღვევსო და ბრძანება გასცეს: მეურმეებს ეკრძალებათ ურემში ხარების შებმა.

შეიძლება ფინანსთა მინისტრს აზრად მოუვიდეს რომ მზე სისხლს აცხოველებს და ამით მშვიდობიანობა საფრთხეშია და გამოაცხადოს: ქალაქებსა და სოფლებს აეკრძალოთ მზით სარგებლობა, რისთვისაც სასტიკად უნდა იყვეს დაცული პრინციპი სახლიდან გამოუსვლელობისა.

ისიც შეიძლება, რომ მიწად-მოქმედების მინისტრს მოესაზროს, რომ რკინის გზა თავისი ბოლით აფუჭებს ბალახს და რუსეთში გამოცხადდეს: დღეიდან რკინის გზები—აკრძალულია. მკითხველს იქნებ გაუკვირდეს, რაღა ასეთ აბსურდულ ბრძანებას გამოსცემენო, მაგრამ ეს გასაკვირველიც არ არის—რუსეთში ყველაფერი შესაძლებელია, თუ კი შესაძლებელია, რომ განათლების მინისტრს სადმე რესტორანში, პაპიროზის წევის დროს აზრად მოუვიდეს რომ კოოპერაცია სახელმწიფოს ძირს უთხრის და ცირკულიარი მზად არის: ,,აეკრძალოთ სახალხო მასწავლებლებს კოოპერაციაში მონაწილეობის მიღება''.

ნურც ის გაგიკვირდებათ, თუ ერთ მშვენიერ დღეს სამხედრო მინისტრი იტყვის: უნდა აიყაროს მოსკოვის გუბერნია. გადაითხაროს მოსკოვი და მცხოვრებნი სადმე ვოლოგოცკში გადასახლდნენ,

რადგან მოსკოვის გუბერნიის ტერიტორია მშვენიერ ადგილს შეადგენს პოლიგონისათვისაო.

ნუ გაგიკვირდებათ, რადგან რუსეთი ისეთი ქვეყანაა, სადაც მინისტრებს ყველაფერი შეუძლიანთ, თუნდა ამაში არც ლოღიკა იყვეს, თუნდაც მთელი რუსეთი აყაყანდეს, თუნდაც მთელი ცხოვრება შეჩერდეს—რუსეთი რუსებისა ხომ არ არის, ან ქვეშევრდომებისა, რუსეთი მინისტრებისაა: ,,Моя селедка, моя краска, хочу выкрашу, хочу повѣшу!" ნუ ჰკითხავთ თუ რადა მღერის სელიოდკა, რადგან ეს ,,უზენაეს სახელმწიფოებრივს სიბრძნეს" შეადგენს, ეს იმისათვის მღერის, რომ თქვენ ვერ მიხვდეთ სელიოდკის ვინაობას.

და აი ამღერებენ საწყალ სელიოდკებს რუსეთის მინისტრები... ყველა თავის სელიოდკას ამღერებს და მეორეს არა ჰკითხავს. მე შენ გითხრა ისეთი პრემიერი არის, რომელიც უნდა აერთიანებდეს კონცერტს და ერთ კილოზედ მაინც ამღერებდეს. პირიქით, რაც მეტი სხვა და სხვაობაა სელიოდკების სიმღერაში, მით უფრო ადვილია მშვიდობიანი თევზის ჭერა... ამღვრეულ წყალში.

ამბობენ, რომ განათლების მინისტრი გამოდის სამსახურიდანაო, მაგრამ ამას ყველა მინისტრზე ამბობენ ხოლმე, რადგან მინისტრი არის იმისათვის მინისტრი, რომ... გამოვიდეს ხოლმე და სელიოდკა ამღეროს, შეღებოს თავის გუნებაზედ და ჩამოჰკიდოს... აბა გამოიცანით რა არისო. რასაკვირველია, ვერავინ გამოიცნობს და დარჩა მინისტრი გამარჯვებული, დარჩა თავის ალაგას, თუნდა მთელი რუსეთის კოოპერაცია წყალმა წაიღოს და სახალხო მასწავლებელი იდიოტად დარჩეს.

როცა სელიოდკას ამღერებენ ეს მიუწდომელი „სახელმწიფო მოსაზრების" ბრალია.

ნაცარა.

კ. დ. ბალმონტი თბილისში

ამ ჟამად თბილისში იმყოფება რუსეთის გამოჩენილი მწერალი კ. დ. ბალმონტი. 12 აპრილს რამოდენიმე ქართულმა დაწესებულებამ მგოსნის საპატივცემოდ საღამო გამართა ქართულ თეატრში. თეატრში საზოგადოება მუსიკითა და ყვავილებით შეეგება და ლოჟამდე ტაშით მიაცილეს. აკაკიმ მგოსანს მიმართა პატარა, ფრიად საგულისხმო სიტყვით და აღნიშნა, თუ როგორ უცქერის საქართველოს ის რუსეთი, რომელიც სხვებთან ურთიერთობას ძალიან ამყარებს და აგრედვე ის, რომ მეორე მხრით, ახალი რუსეთი სიყვარულითა და ყურადღებით ეკიდება საქართველოს. შემდეგ ა. ყანჩელმა მიმართა მოკლე სიტყვით. დოდაშვილმა წაიკითხა მოხსენება ქართულ პოეზიის შესახებ მეცამეტე საუკუნემდე. ბალმონტიც მიესალმა საზოგადოებას სცენიდან გრძნობიერი სიტყვით. „როდესაც კიბეზე ამოვდიოდი ყვავილები გადმომაყარეს და ჩემი გულიც აყვავილდა, მაგრამ აქ მოსვლამდე ერთი ყვავილიც აყვავდა, ჩემს გულში და მსურს იგი გაგაცნოთო, სთქვა მგოსანმა და წაიკითხა პატარა ლექსი, რომელიც მიუძღვნა შოთა რუსთაველის ქნარს, თავის სიტყვაში კი აღნიშნა აკაკის საყვედური და განაცხადა: რუსეთის საუკეთესო შვილნი ყოველთვის აღტაცებით ეგებებოდნენ მშვენიერს საქართველოს. რუსეთის გენიოსმა პუშკინმა და მკაცრი-მშვენიერებით აღსავსე ლერმონტოვმაც თავისი საუკეთესო გრძნობანი შესთავაზეს საქართველოსო. რასაკვირველია, მე ჩემს თავს მათ არ ვადრი, მაგრამ, როდესაც ოცდაორი წლისამ პირველად ვიხილე ეს ტურფა ქვეყანა მისი სიყვარული მეც გულში ჩამივარდა მე მოვიარე მაღალ პალმების ქვეყანა, ვნახე დიდებული ეგვიპტე, ვიხილე პირველ ყოფილი სიმშვენიერე შავკანიანთა ქვეყნებისა, ვნახე სამოა, მაგრამ ჩემი ოცნება,—კიდევ მენახა თქვენი კეკლუცი ქვეყანა, გულში არ ჩამკვდომიაო.

დასასრულ ზ. ფალიაშვილის ლოტბარობით ფილჰარმონიულ საზოგადოების შეგირდებმა შეასრულეს რამდენიმე სიმღერა. გ. დიასამიძემ, ა. ყანჩელმა, ზავრიევმა, მსახიობ შალიკაშვილმა და ერისთავმა წაიკითხეს ქართულად და რუსულად თვითონ ბალმონტისა და ქართველ მგოსანთა ლექსები.

შემდეგ საზოგადოებამ ბალმონტი ვახშამზე მიიპატიჟა და ხუთს საათზე ნასიამოვნები მგოსანი ბინამდის მიაცილა. ბალმონტი აპირებს რამდენიმე ხანი აქ დარჩენას. რომ ქართული ენა შეისწავლოს და „ვეფხის ტყაოსანი" გადათარგმნოს.

ტერიტორიის საკითხის გარშემო

ნათქვამია, ვინც ცოტას ლაპარაკობს ის ბევრს აკეთებსო.

ამ თქმულების სასწორზე რომ ავსწონოთ ჩვე

ნი საზოგადოებრივი ცხოვრება, ჩვენისთანა უსაქმური ხალხი მეორე აღარ აღმოჩნდება.

რატომ?

იმიტომ, რომ ნამეტანი ბევრი ლაპარაკი გვიყვარს; მთელი ჩვენი მოქმედება დაუსრულებელი ლაპარაკია. ლაპარაკმა საქმე გადაყლაპა და საითაც უნდა მიიხედ-მოიხედოთ ჩვენში, მარტო ძველი ენაღა სჩანს.

ყველა ლაპარაკის ჟინით ვართ გატაცებული: საქმე სხვამ აკეთოსო:

საქმის მკეთებელი კი არსად არის.

მაგრამ არა,—არიან, როგორ არ არიან!.. საქმესაც აკეთებენ!

აი ჩვენი წარჩინებული წოდება! განა უსაქმოდ არის?

ძველი საქართველოს დიდებით გატაცებული ერთგულად „აპრადალებს“ ადგილ-მამულს ქართველი ხალხის კეთილ-დღეობისათვის!

აი სომხის ბურჟუაზია! ერთგულად სცდილობს ტერიტორიის შეძენას ქართველი ხალხის ვიწრო კარმიდამოში და ამავე დროს ძმობა-ერთობას გვიქადაგებს.

აი საგლეხო ბანკი და უცხოელები! ნელა-ნელა აცლიან ხელიდან ჩვენს ხალხს არსებობის ერთ უმთავრეს საშუალებას - მიწას.

და ამავე დროს გლეხის ზოგიერთი მეგობარი ცინიკურად გაიძახის: არ გესმით, ბატონებო, კაპიტალიზმი ვითარდება და მიწაც ბაზარზე გამოიტანესო.

ამ დღეებში „სახალხო გაზ,“-ში ეწერა, თავადაზნაურობის ერთ ჯგუფს განუზრახავს მამულის ნაწილი უცხოელ კაპიტალისტებს მიჰყიდოს, რომ ამ ფულით დარჩენილ ნაწილს მოუაროსო.

როგორ არა!

როდის იყო, რომ თავად-აზნაურობა მამულს აუმჯობესებდა?

ბანკშიაც ხომ იმიტომ აგირავებდნენ მამულის ნაწილს, რომ დანარჩენი ნაწილი გაეუმჯობესებინათ.

მერე რამდენი გააუმჯობესეს!

ახლაც ასე გააუმჯობესებენ უცხოელების ფულით!

მთელი საქართველოს გაყიდვა რომ შეიძლებოდეს, განა ჩვენი წარჩინებული წოდება უკან დაიხევს?

ანკი რად უნდა დაიხიოს, როდესაც ჩვენში სირცხვილ-ნამუსიც დაიკარგა და საზოგადო აზრიც გაჭრა!

ვინმე ცხვირ-მოუხოცელმა რომ მოინდომოს ჩვენი დამცირება, შეურაცხჰყოფა, აასრულებს, რადგანაც საზოგადო აზრისა არ ეშინია და **დიმიტრი ყიფიანები** ჩვენში აღარ არსებობენ, რომ ერის სახელის დასაცავად არაფერს არ დაერიდონ.

აიღეთ გერმანია ან საფრანგეთი. მთელი ერი, რომ ვინმემ შეურაცხჰყოს, შეუძლებელია, რომ მუშა და ბურჟუა, გლეხი და იუნკერი, მონარქისტი, რესპუბლიკანელი და სოციალისტი ყველა ერთნაირად არ ააღელვოს და არ ააღშფოთოს ამგვარმა შემთხვევამ. საერთო აღელვებას კი მოჰყვება საზოგადო აზრის მძლავრი გრგვინვა.

ჩვენში ამგვარი რამ შეუძლებელია. ჩვენში ერთი რომ სტიროდეს, მეორე იცინის და არა თუ იცინის მხოლოდ, დასცინის კიდეც: ახია შენზე, აგრე მოგიხდებაო.

ასეთ პირობებში საზოგადო აზრის ახმაურება შეუძლებელია.

ამიტომ ყოველგვარი სიმახინჯე ლაღობს და ნავარდობს.

მიწა ბაზარზე გამოვიდაო, ვისაც ფული მეტი აქვს, ის ყიდულობსო, გაისმის ერთის მხრიდან უდარდელი კილოთი.

— ქართველ ხალხს ტერიტორია ეკარგებაო, ისმის გოდება ერთგან.

— ქართველ ხალხს სადა აქვს ტერიტორიაო, —გაიძახიან სხვები ბრძნულის თავმოწონებით.

საზოგადო აზრი რომ იყოს ჩვენში, მაშინ ტერიტორიის საკითხის გარშემო აღარ იქნებოდა ამდენი კამათი.

ორჯერ-ორი ოთხია ყველა პარტიისათვის და ყოველგვარი რწმენის ადამიანისათვ-ს.

ტერიტორია რომ აუცილებლად საჭიროა ერის არსებობისა და წინმსვლელობისათვის, ეს ყველგან ცხადია ყველასათვის. ჩვენში კი სადაო საკითხად გადაქცეულა!

ჩვენში რომ საზოგადო აზრი არსებობდეს, განა ამ სამარცხვინო და ქვეყნის დამღუპველ ვაჭრობას ჩვენი ხალხის მიწა-წყლით აქამდინ ბოლო არ მოეღებოდა?

სად არის საერთო, საზოგადო აღშფოთება, საზოგადო აზრის გუგუნი?

სად იქნება ან როგორ გაჩნდება, როცა ერთი გაიძახის: სადა გვაქვს ტერიტორიაო, მეორე ჭკუას გვასწავლის: კაპიტალიზმი და მიწა ბაზარზე გამოდისო, და სხვ. და სხვ.

ჟურნალ-გაზეთებში და ზოგიერთ წრეებში და-

უსრულებელი ლაპარაკია, წარჩინებული წოდება კი განაგრძობს თავის საქმეს—ადგილ-მამულის განიავებას. ასეთ პირობებში ვინ უნდა იხსნას ჩვენი ქვეყანა განსაცდელისაგან? ისევ იმან, ვინც ცეცხლსა და ადუღებულ რკინაში გაიარა და საქართველო და ქართველი ერის არსებობა თვისი დალოცვილი მაჯით გადაარჩინა.

ეს არის ქართველი მშრომელი ხალხი.

ვისთვის არის საჭირო საქართველოს მიწა-წყალი?

მისთვის, ვინც ამ მიწა-წყალს თვისის ოფლითა რწყავს და ანოყიერებს.

ეს არის ქართველი გლეხი.

როდესაც სხვები—გარეულებიცა და შინაურებიც საქართველოს ანადგურებდნენ, ქართველი ერის ვინაობა მან გადაარჩინა.

დღეს, როდესაც გარეული და შინაური საქართველოს ტერიტორიას ანადგურებს, ჩვენმა გლეხმავე უნდა გადაარჩინოს ეს მიწა-წყალი.

ქართლი, კახეთი, იმერეთი, შავი ზღვის პირი—ყველა ჩაენი სამშობლოა. რაჭა რომ თავის ფარგლებს არა სცილდება, გურული თავისას და სხვ. ეს შემცდარი აზრია და მავნებელი მიმართულება. რაჭაში, ზემო იმერეთში, საშინელი სივიწროვეა მიწისა. ქართლში, განსაკუთრებით კახეთში შედარებით უფრო მეტია რაჭველი და ზემო იმერელი ქართლ-კახეთის ჰავას ადვილად ეგუება. ამიტომ რაჭველები და ზემო იმერლები უსათუოდ უნდა მოაწვენ ქართლ-კახეთს და არც ერთი თავისუფალი ადგილი არ უნდა გაუშვან ხელიდან.

კახეთი იმერლებმა უკვე რამდენიმე სოფელი გააშენეს.

ამათ მაგალითს უნდა წაჰბაძონ სხვებმაც.

გურია-სამეგრელოშიაც ამგვარივე სივიწროვეა მიწის. სამაგიეროდ შავი ზღვის პირას მიწა ბევრია, და აქეთ უნდა მიაშურონ გურულებმა და მეგრელებმა, რადგანაც ისინი შავი ზღვის პირის ჰავას ადვილად ეგუებიან.

ის, რაც ერთისათვის ძნელია და ხშირად შეუძლებელიც, ათისა და ასისათვის ადვილია და შესაძლებელი.

ერთისათვის ძნელია დიდი ადგილის ყიდვა, რამდენიმე რომ მოიყრის თავს, საქმეც ადვილდება.

ხსნა აქ არის და არა ჩვენს დაუსრულებელს ლაპარაკში. რაც უფრო თავგამოდებით დაადგება ამ გზას ჩვენი ხალხი და გასწევს ჩქარის ნაბიჯით, მით უმჯობესია.

მაშინ აღსდგება და აყვავდება ის, ვის შესახებაც ჩვენმა აკაკიმ წარმოსთქვა:

არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებსო. (თემი)

ივ. გომართელი.

ნ ა რ ე ვ ი

დაგვიანებული პასუხი: ჩვენი ჟურნალის მეთოთხმეტე ნომერში დაბეჭდილი გვქონდა რეშ ბაბას მშვენიერი არაკი „უკუდო ვირი“. ვინ და რა იგულისხმებოდა ამ არაკში, მგონი ბავშვიც გაიგებდა, რადგან ამის გასაგებად, ჭკუაც რომ შემოდეოდა ადამიანს,—პირდაპირ ტხადთ ეწერა: „ჰოი, მამულო საუკვრელო, ამ არაკის ხსენებაზე ნეტა შენ რად მაგონდები?“

მაგრამ ვიღაც ბ-ნი „ჩვენ“, რომელიც „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზედ აგერ რამდენი ხანია უნიჭო და უგბილო „წკეპურტებსა“ სწერს—ამ არაკს მეტად განურისხებია; ისე გაბრაზებულა, თითქო არაკის სახელი თავისად მიეღოს და აი რა დაუწერია: «„კალდეში“ ასეთი შარგალიტია დაბეჭდილი, რომელიც უცვლელად მოგვაკვს:» ქვემოდ მოეკანალია მართლაც და მარგალიტი არაკი რეშ ბაბასი (ვისაც მიუწვდება გონება, რა საკვირველია) და შემდეგ ჭენიოსური დექსი:

ჰოი, „კალდეო“, უბადრუკო
გალაკვექ „ბაბას“ ვირსა
ასვე სახოვე მოსაზრება
ის გასესხებს ტოტა ტვინსა,
მას ეროვნიზე შეეურები
საეიფობას, (?) უცხო ლხინსა,
და შენისთანა უკუდო
ღირსი არის მთრახისა.

ბ-ნი „ჩვენ“, როგორც ეველა კერძო პირი, შეუძლებელია ეოველთვის შესცდეს და „ზაკ. რეჩისაგან“ წოდებული სახელი სახალხოელებისა (იმის შემდეგ, როცა უკანასკნელებმა „ვირზე შესვეს“ „ზაკ. რეჩის“ წარმომადგენელები) თავისად მიიჩნიოს, ამით გაბრაზდეს კიდეც, მაგრამ რედაქცია რა მოსაზრებით ბეჭდავდა ასეთს..... ჩვენ ვერ გაგვიგია; ამიტომ მოწიწებით ორს რასმე ვითხოვთ ბატონ „ჩვენისა“ და „სახალხოსაგან“,—აგვიხსნან: 1) როგორ ესმით „რაეიფობა“, როგორც „ლხინის“ მინაგვარი? და 2) რამ გააკვირა ისე, რომ უზრდელობასთან ერთად ასეთს უჭკუობასაც იჩენს?

რაე.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი მ ე რ ე თ ი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით—80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

ადრესი: Кутаисъ, редакція газ. „Имерети“.

ეოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილნი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი, და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. (ამ წლის დამლევამდე—4 მ.) ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის“ სტამბაში).

1894 წლიდან **1914** წლამდის

საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო

საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი“-სა

ტელეფონი: № 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.